

ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის ამოცანის გადაჭრისათვის To solve the problem of diversification of Georgian wine exports

ზურაბ გარაყანიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხვიჩია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Zurab Garakanidze - Georgian Technical University

Giorgi Khvichia - Georgian Technical University

რეზიუმე: 2020 წლის დასაწყისში მიღებული კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ და ცოტა ხნით ადრე დამტკიცებული რფ-ს საგადასახადო სფეროს მარეგულირებელ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებით, რუსეთში ღვინის იმპორტიორებს, მათ შორის ქართულ კომპანიებს, ემუქრებათ სატარიფო და არასატარიფო დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსო-ს (WTO) წესებს. კანონის მოთხოვნები შესაძლებელია გასაჩივრდეს მსო-ს დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული დისკრიმინაცია გამოიწვევს იმპორტული ქართული ღვინოების რუსული ბაზრიდან გამოდევნას არა ჯანსაღი კონკურენციით, არამედ პროტექციონიზმით.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, სუბსიდირება, ღვინომასალები, რუსეთის ღვინო, კანონმდებლობა.

შესავალი: 2019 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა კანონი „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ (Федеральный закон от 27.12.2019 № 468-ФЗ "О виноградарстве и виноделии в Российской Федерации")ⁱ. მანამდე, 2019 წლის 30 სექტემბერს დამტკიცდა ცვლილებები ფისკალურ კანონმდებლობაში (Федеральный закон от 29 сентября 2019 г. N 326-ФЗ "О внесении изменений в часть вторую Налогового кодекса Российской Федерации и статью 1 Федерального закона "О внесении изменений в часть вторую Налогового кодекса Российской Федерации")ⁱⁱ, რაც სავარაუდოდ ნეგატიურად აისახება საქართველოდან რუსეთში ღვინის ექსპორტზე.

ძირითადი ტექსტი: რფ-ში 2020 წლის 1 იანვრიდან ღვინის აქციზის განაკვეთი გაიზარდა. ამასთან, გარკვეული სახის ღვინოებზე სუბსიდირება მოხდება ისე, რომ რუსეთის შიგნით წარმოებული და იმპორტირებული

ღვინოები დეკლარირებულად/ნომინალურად ერთნაირი განაკვეთით, მაგრამ რეალურად სხვადასხვა აქციზით, დაიბეგრებიან. მომდევნო 3 წელში ე. ი. 2023 წლის 1 ივლისიდან, იკრძალება ღვინომასალების იმპორტი რუსეთში. ამ დრომდე იმპორტირებული ღვინომასალებით დამზადებული ღვინო და 2020 წლის 1 ივლისიდან რუსეთში მოყვანილი ყურძნით წარმოებული ღვინო გაიყიდება როგორც „რუსეთის ღვინო“. ის ისარგებლებს კანონით მინიჭებული სახელმწიფოს პროტექციონისტული (სუბსიდირების, სატარიფო და არასატარიფო) შეღავათებით.

საქართველოდან ღვინომასალა (ჩამოსასხმელი) რუსეთში 2018 წლიდან არ შედის. ქართული ღვინო რუსეთში მხოლოდ დაფასოებული იყიდება, და ერთი შეხედვით, რფ-ს კანონი ჩვენს ექსპორტიორებს პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს. მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რფ-ს „ღვინის“ ახალი კანონი მეღვინეობას არსებით სახელმწიფო მხარდაჭერას აღმოუჩენს, რაც რფ-ს ვენახების ფართობებს გააორმაგებს და რუსულ ბაზრებს ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციით უზრუნველყოფს, ამან კი რფ-ში იმპორტი უნდა შეზღუდოს. კანონით მეღვინეობა და ღვინის წარმოება რუსეთის სოფლის მეურნეობის საბაზისო, თანაც საექსპორტო დარგი უნდა გახდეს. შესაბამისად, 2023 წლიდან საქართველომ შესაძლოა დაკარგოს რუსული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბაზრისა, რომელიც დღეს ჩვენი ღვინის ძირითადი მომხმარებელია - 2019 წელს იქ გაიგზავნა 133 მლნ დოლარის 70 მლნ ლიტრზე მეტი ქართული ღვინო, ანუ მთელი ღვინის ექსპორტის 61.5% (იხ.ცხრილი 1).

რფ-ში „ღვინის“ კანონის მიღებას გარკვეული ნორმატიული ბაზის შექმნა უძღოდა წინ:

ჯერ ერთი, მის მიღებამდე 3 თვით ადრე, 2019 წლის 30 სექტემბერს, გამოქვეყნდა რფ-ს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რომლითაც 2020 წლის 1 იანვრიდან რუსეთში გაიზარდა ღვინის აქციზის განაკვეთი. ამ კანონით 2020 წელს ღვინის აქციზი 1 ლიტრზე ნაცვლად 18 რუბლისა შეადგენს 31 რუბლს, 2021 წელს - 32 რუბლს, ხოლო 2022 წელს - 33 რუბლს. აქციზით დაიბეგრება ასევე ღვინო მასალა (გარდა დისტილიტის საწარმოებლად გამოყენებულის) და ყურძენი. 2020 წელს აქციზი 1 ტონა ყურძენზე 30 რუბლი იქნება, ხოლო მომდევნო წლებში, შესაბამისად - 31 და 32 რუბლი.ⁱⁱⁱ აქციზის 31 რუბლიანი განაკვეთი 0.75 ლიტრიან ბოთლზე 23.25 რუბლია. ეს ის თანხაა, რასაც იმპორტიორი გადაიხდის. რუსი

მელვინეები ყურძენზე აქციზის კომპენსაციას მიიღებენ, რაც მათთვის აქციზს ფაქტიურად ძველ დონეზე დატოვებს. ამით ადგილობრივ და იმპორტულ ღვინის აქციზის განაკვეთებში განსხვავება უკვე 20 რუბლი გახდება, რაც სხვა გადასახადების დამატების შემდეგ ბოთლი ღვინის ფასს რფ-ში (მალაზიის თარომდე) 100 რუბლამდე გაზრდის.

ცხრილი 1^{iv}

ღვინის ექსპორტი საქართველოდან 2019 წელს		
ქვეყანა	ათასი აშშ დოლარი	ლიტრი
სულ	222,945	70,111,248
რუსეთი	133,252	43,125,769
უკრაინა	23,052	8,194,947
ჩინეთი	18,898	5,214,029
პოლონეთი	9,041	3,224,813
ყაზახეთი	8,493	2,639,480
ბელარუსი	7,223	2,192,294
ლატვია	3,679	1,187,748
აშშ	2,981	475,744
გერმანია	2,146	472,655
ესტონეთი	1,670	516,776
ლიეტუვა	1,661	545,004
მოლდოვა	1,282	441,994
იაპონია	880	127,306
ყირგიზეთი	836	169,151
აზერბაიჯანი	820	136,781
მონღოლეთი	807	211,475
კანადა	732	145,520
გაერთიანებული სამეფო	636	130,905
ისრაელი	596	234,586
ნიდერლანდები	519	71,161
დანარჩენი ქვეყნები	3,742	653,112

ეს რუსეთში იმპორტირებულ უცხოურ ღვინოებს - მათ შორის ქართულსაც, წორედ ამ თანხით გააძვირებს. კერძოდ, ეს საკანონმდებლო ცვლილება საკუთარი ყურძნით მეწარმე რუსი მელვინეებისთვის შენიღბულ სატარიფო შეღავათებს ითვალისწინებს.

მართალია რუსეთში, ღვინოსთან ერთად, ყურძენიც აქციზური საქონელი გახდა, მაგრამ ფაქტიურად უმნიშვნელო აქციზის გადახდის შემდეგ მელვინეს შეუძლია მიიღოს გადახდილ აქციზზე მეტი კომპენსაცია. ეს მექანიზმი გეოგრაფიულ აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებაზე (ევროპული „აპელასიონების“ სისტემის ანალოგი) აქციზის შეღავათის კომპენსაციისათვის გამოიყენება. ამჟამად რუსეთში დაწურულ ამ კატეგორიის ერთ ბოთლ ღვინოზე აქციზი 3.75 რუბლია, ნაცვლად სხვა

კატეგორიაზე, მათ შორის იმპორტულზე დარიცხული 13.5 რუბლისა. ასეთი „ორმაგი“ აქციზი პირდაპირ ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს. საჭიროა რუსეთში ღვინის იმპორტიორების, ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების ერთობლივი ძალისხმევა ამ დისკრიმინაციული ნორმის გასაუქმებლად. მეტიც, რუსული „ღვინის“ ახალი კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტით მეწარმეს, რომელმაც რუსული ყურძნით რუსეთში ჩამოასხა შუშბუნა ღვინო, შეუძლია ამ პროდუქციის ეტიკეტზე მიუთითოს სახელწოდება „რუსული შამპანური“ („российское шампанское“), რაც ასევე მსო-ს წესების დარღვევაა და ევროკავშირის ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს.

მეორე, კანონში „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ისეთი განმარტებები და ტერმინებია, რომლებიც რუსული ბაზრიდან არა მარტო ადგილობრივ და იმპორტულ კონტრაფაქტულ პროდუქციას, არამედ მაღალხარისხიან ქართულ და სხვა იმპორტულ ღვინოებსაც გამოდევნის. კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით „ღვინო“ - ესაა საკვები ალკოჰოლური პროდუქცია, მიღებული ახალი ყურძნის ან დაწურულის დუღილის შედეგად, ეთილის სპირტის 7.5-18%-იანი შემცველობით; „ჩამოსასხმელი ღვინო ან შემაგრებული ჩამოსასხმელი ღვინო (ღვინომასალა)“ - ესაა საცალო ვაჭრობისთვის დაფასობამდე არსებული ღვინო; ხოლო „რუსეთის ღვინო“ - ესაა ყველანაირი ღვინო, რომელიც მთლიანად (100%) რუსეთის ტერიტორიაზე მოყვანილი ყურძნიდანაა მიღებული.^{vi} ეს უკანასკნელი განმარტება იმისთვისაა, რომ სხვა ქვეყნების ღვინოებისაგან განსხვავებით, საცალო ვაჭრობის დარბაზში ან სხვა ადგილას რუსულ ღვინოს გამოყოფილი ჰქონდეს განსაკუთრებული ადგილი წარწერით - „რუსეთის ღვინო“.^{vii} კანონის 26-ე მუხლში მითითებულია, რომ თუ ყურძნის შემცველი ალკოჰოლური სასმელების ეტიკეტზე და კონტრეტიკეტზე მითითებული სპირტის მოცულობითი შემცველობა არ აღემატება 22%-ს, მაშინ მწარმოებელმა უნდა მიუთითოს, რომ ეს პროდუქცია ღვინო არ არის - "НЕ ЯВЛЯЕТСЯ ВИНОМ" და უნდა განლაგდეს სხვა ღვინოებისაგან ცალკე მდგომ დახლზე.^{viii} მე-3 და 26-ე მუხლებს შორის შინაარსობრივ წინააღმდეგობას თავი რომ დავანებოთ, კანონში „ღვინის“ განმარტებით ქართული ღვინოების უმეტესობა რუსეთში ღვინოდ არ ჩაითვლება, ვინაიდან მათში სპირტის მოცულობითი შემცველობა ამდენი არ არის.^{ix} ეს მეორე დიდი პრობლემაა ქართული

ღვინისთვის, რომელიც მართალია 2019 წლის მონაცემებით რფ-ს ბაზარზე წინა წელთან შედარებით 7-8%-ით მეტი გაიყიდა, მაგრამ მას სამწუხაროდ საკმაოდ მაღალი ფასი აქვს და ახალი „მარკეტინგული დისკრიმინაცია“ მას კარგს არაფერს უქადის...

მესამეც, 2023 წლის 1 ივლისიდან მთლიანად აიკრძალება რფ-ს ღვინის მრეწველობაში „...რფ-ში იმპორტირებული ყურძნის, ღვინის, ჭაჭის...“ გამოყენება.^x ამ დროიდან რუსეთში, ქართული ჩამოსასხმელი ღვინის მსგავსად, აიკრძალება ყველანაირი ჩამოსასხმელი ღვინის შეტანა. მაგრამ დღეისათვის რუსეთში, მიუხედავად მევენახეების სახელმწიფოს მხრივ უპრეცედენტო მხარდაჭერისა, ვენახებს უკავია სულ 93 ათ ჰა, რაც არასაკმარისია არსებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, რფ-ში შეტანილი ღვინომასალა საშუალოდ წლიურად 20 მლნ დეკალიტრია და რუსული ღვინის მრეწველობის ჩამოსხმული ღვინომასალის 40% ფაქტიურად არარუსული, არც ისე დაბალხარისხიანი - ესპანური, სამხრეთაფრიკული, მოლდავური „წარმოშობისაა“.^{xi} აღნიშნული ჩამოსასხმელი ღვინოები 2023 წლის ზაფხულიდან რუსეთში ვეღარ მოხვდებიან, და შესაბამისად, საჭირო იქნება მათი სხვა იმპორტიორებისკენ გადამისამართება. ეს რუსეთში მდებარე იმ ღვინის ქარხნებზე აისახება ნეგატიურად, რომლებიც ჩამოსასხმელ ღვინოს იყენებენ. შესაბამისად, ამ ქარხნების ინვესტორების დღის წესრიგში დადგება 2023 წლიდან მათი რუსეთიდან გადატანა ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩამოსასხმელი ღვინომასალებით შესაძლებელი იქნება ბოთლის ღვინის ჩამოსხმა. ინვესტორებისათვის ამ ქარხნების განთავსება ყველაზე მისაღები იქნება ევრაზი ეკონომიკური კავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში - ვთქვათ სომხეთში, ბელარუსში, სადაც ღვინომასალის შეტანა აკრძალული არ არის, და თანაც, მათ რუსეთთან საბაჟო კავშირი აკავშირებთ. თუმცა ზოგიერთმა ინვესტორმა, ევროკავშირთან DCFTA-ს არსებობის და მეღვინეობის მდიდარი გამოცდილების გამო, შესაძლოა საქართველოშიც გადაწყვიტონ თავიანთი ქარხნების გადმოტანა.

ასეთი გადამისამართება კიდევ იმითაც იქნება განპირობებული, რომ ანექსირებულ ყირიმში ღვინის ქარხნების უმრავლესობას - „მასანდრას“, „ნოვი სვეტს“, „ინკერმანს“, „სევასტოპოლის ღვინის ქარხანას“ უმთავრდებათ ბოთლები. საქმე ისაა, რომ ტარის მწარმოებელ ს/ს „კავშინსტეკლოს“ შეეცვალა მესაკუთრე და ახალმა ამერიკელმა

აქციონერებმა აშშ-ს სანქციების გამო შეწყვიტეს ყირიმის ქარხნებში ტარის მიწოდება. მეორე დიდი ტარის ქარხანა „რუსჯამი“ გადატვირთულია შეკვეთებით და არ შეუძლია ბოთლების წარმოება ასორტიმენტის შეზღუდულობის გამო.^{xii}

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ღვინომასალის სიმძლავრეები საქართველოში საკმარისადაა და 2023 წლიდან ისინი რუსეთიდანაც დაემატება, მიზანშეწონილი იქნება ამ მასალის ქართულ და რუსეთიდან საქართველოში გადმოსული პოტენციური ინვესტორების ქარხნებში მიღება-გადამუშავება და იაფი მზა ღვინის რუსეთში, როგორც ქართულის, ისე შეტანა.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ კანონით „რუსეთის ფედერაციაში მელვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ღვინის იმპორტიორებს, მათ შორის ქართულ კომპანიებს, ემუქრებათ სატარიფო და არასატარიფო დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსო-ს (WTO) წესებს. კანონის მოთხოვნები შესაძლებელია გასაჩივრდეს მსო-ს დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული დისკრიმინაცია გამოიწვევს იმპორტული ღვინოების რუსული ბაზრიდან გამოდევნას არა ჯანსაღი კონკურენციით, არამედ პროტექციონიზმით.

მიზეზი ისაა, რომ სატარიფო თვალსაზრისით, 2019 წლის 30 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით ლოჯისტიკურ ჯაჭვში მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით, აქციზის „რუსეთის ღვინოსა“ და იმპორტულ განაკვეთებს შორის 10 რუბლის სხვაობა საცალო ფასში უკვე 40-50 რუბლის სხვაობის ტოლი ხდება, რაც რუსეთის მაღაზიების უმეტესობაში მასიურად მოთხოვნადი 300-400 რუბლიანი ღვინოების რეალიზაციის შეფერხებას გამოიწვევს. ესაა ბაზრის ის ყველაზე კონკურენტული და მასიური სეგმენტი, რისთვისაც ყოველთვის ბრძოლა მიმდინარეობს. ახალ რუსულ სატარიფო ბარიერს აძლიერებს ის, რომ რფ-ს ახალი საგადასახადო და საბიუჯეტო კანონმდებლობით გეოგრაფიულ აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების მქონე რუსულ ღვინოებს იმპორტულთან შედარებით დაბალი, სუბსიდირებული აქციზი აქვთ. ასეთი „ორმაგი“ აქციზი ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს. საჭიროა რუსეთში ღვინის იმპორტიორების, მათ შორის ევროკავშირის წევრების ერთობლივი ძალისხმევა ამ დისკრიმინაციული ნორმის გასაუქმებლად.

არასატარიფო თვალსაზრისით, რფ-ს „ღვინის“ ახალ კანონში ცნების „რუსეთის ღვინო“ შემოღება და ამით მისთვის ქვეყნის საცალო ვაჭრობის ქსელში სავაჭრო პრეფერენციების მინიჭება, აგრეთვე სპირტის მოცულობითი შემცველობის ზღვარის დაწესება და ამ ზღვარზე დაბალი სპირტიანობის სასმელის ღვინოდ არ ცნობა, ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს.

კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ მე-3 და 26-ე მუხლებით ყურძნის სასმელი, ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობით 14.5%-დან 20%-ის ფარგლებში, არ არის ღვინო, არამედ ესაა არომატიზებული სასმელი. საქართველოს კანონით „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კი ღვინოდ მიჩნეულია ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობით მინიმუმ 9%-ის მქონე ყურძნის სასმელი. თანაც ქართული ღვინის ფაქტიური სპირტის შემცველობა მაქსიმუმ 14%-15%-ის ფარგლებშია. ზემოაღნიშნული ქართველ იმპორტიორებს რუსულ ბაზარზე შეღწევის გაურთულებს.

დასკვნა: ამრიგად იმისთვის, რომ 2020 წლიდან მოქმედმა რფ-ს ახალმა კანონებმა ქართული ღვინის ექსპორტის შეფერხება არ გამოიწვიოს, საჭიროდ მიგვაჩნია:

- საქართველოს მთავრობამ მიმართოს ევროკომისიას რუსეთის მიერ 2019 წლის ბოლოს მიღებული „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ კანონის დისკრიმინაციულად ცნობის შესახებ. სავარაუდოდ, მიმართვას ევროპის ღვინის მწარმოებელი/ექსპორტიორი ქვეყნების უდავო მხარდაჭერა მოჰყვება;
- საქართველოს საგარეო, ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა მოამზადონ და საქართველოს მთავრობას წარუდგინონ დადგენილების პროექტი „ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად მიმართოს მსო-ს (WTO) დავების განხილვის საბჭოს რფ-ს მიერ 2019 წლის 30 სექტემბრის ფისკალური სფეროს საკანონმდებლო ცვლილებების, ამ ორგანიზაციის პრინციპებთან (სატარიფო/არასატარიფო) შეუსაბამობის შესახებ;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დაამყაროს კონტაქტები

რფ-ში ღვინომასალების მიმწოდებელ ევროპულ კომპანიებთან და ინვესტორებთან, მომავალში მათთან ქართველი მეწარმეების სამეურნეო კავშირების განსავითარებლად და საქართველოში ღვინომასალის ჩამოსასხმელი სიმძლავრეების რუსეთიდან გადმოსატანად;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინოს წინადადებები ქართველი მეწარმეების ლიცენზირებაში რეზერვების გამოსავლენად, რათა მოხდეს რფ-ს აქციზის ახალი, გაზრდილი განაკვეთების კომპენსირება.

Summary: Zurab Garakanidze, Ph.D., Giorgi Khvichia, Ph.D. candidate – *The possible influence of the recent RF's wine legislation on the Georgian wine export*
Despite Russia's WTO accession in August 2012, control over imported foodstuffs by Russian agencies

remains complicated and bureaucratic. While the legal framework has improved, in practice, Russia has not yet taken all of the steps expected towards improving the environment for trade. Moreover, since August 2014, Russia has had a ban on a wide range of agricultural products from the United States,

Canada, European Union, Australia, and Norway and several other countries in retaliation for economic

sanctions against Russia. This ban is now extended on the wine import in Russia.

On the one hand, by the end of summer 2019 the Russian President Vladimir Putin signed a law under which the excise duty for wines have significantly increased from January 1, 2020. The document published on the official portal of legal information amends Part 2 of the Tax Code.

As appears from the document, the excise rate by usual wines will increase from 18 rub to 31 rub for liter in 2020, 32 rub - in the 2021st and 33 rub in the 2022nd. On sparkling wines, the rate will increase from the current 36 rubles to 40 rubles/l in 2020, 41 rubles - in 2021 and 43 rubles - in 2022. The financial and economic justification of the law states that its entry into force will ensure the receipt of additional budget revenues in the amount for about 22 billion rubles annually.

At the same time, the law refers to sub-excise goods wine materials and grapes used for wine production. Excise rates on them should be 31 rubles/l and 30 rubles/t respectively, with an increase of 1 ruble in the next two years. At the same

time, wine producers from Russian grapes will be entitled to tax deductions. The excise sums estimated when using the grapes belonging to the taxpayer on the property right for production of wine, sparkling wine, wine materials, and alcoholic drinks on technology of a full cycle will be deductible. The government said the hike is necessary to increase budget revenues.

According to the current code, Russian usual and sparkling wines with protected geographical indication and protected name of origin are subject to a preferential excise rate.

The adopted changes equalize rates on Russian and imported wines, which brings Russian legislation into line with WTO rules, the Ministry of Finance said earlier. At the same time, the amendments allow to silent support Russian winemakers, as beverage producers will be able to receive tax deductions on excise when using their own grapes. As a result, the tax burden on excise for producers of wines from domestic grapes will decrease in times and import duties, for example on Georgian wine, will increase drastically.

On the other hand, the RF State Duma has adopted a bill regulating winemaking and wine trade in Russia in the third and final reading. The bill is aimed to develop the field, produce high-quality goods and protect citizens from fakes. The draft law sets legal, institutional, technological and economic basis of winemaking and winegrowing, determines conditions and order of the state support of this field, fixes powers of state and regional authorities and legal position of people engaged in winemaking and winegrowing.

Currently, Russia has no systematic regulation of winemaking. The legislative proposal stipulates a consistent legal regulation of production and sales of the winemaking and winegrowing products, an explanatory note to the document read.

Moreover, existing legislation concerning alcohol production and circulation is focused on highly alcoholic beverages and doesn't control for the specifics of Russian winemaking and winegrowing that prevents wine producers from development and impedes state supervision, the bill's authors believe.

The draft law envisages state aid to the development of winemaking and winegrowing and determines its possible types.

The initiative also points the protectionist order of creation and activity of self-regulatory winemaking and winegrowing organizations, which would be

established in accordance with the territorial division of vinelands. The rules of wine production and raw materials and supplies requirements are set in the bill as well.

ბიბლიოგრაფია

ⁱ <http://pravo.gov.ru/search/index.html?action=search&advanced=true&searchPage=1&query=%22%D0%B8&plugin=1001&search.root=%2F>

ⁱⁱ http://cmiki.ru/news/detail.php?SECTION_ID=1&ELEMENT_ID=10308

ⁱⁱⁱ https://www.gazeta.ru/business/news/2019/09/30/n_13524661.shtml

^{iv} ცხრილი შედგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით

^v რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი

^{vi} რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის 6-8 პუნქტები

^{vii} რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

^{viii} რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტი.

^{ix} იხ. მაგალითად: საფერავი. ცხრილი 8. მუკუზანი.

<https://enoteca.ge/ge/variety/87-Saperavi>

^x რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

^{xi} Съезд победителей. <https://www.forbes.ru/biznes/386459-sezd-pobediteley-kakim-stanet-rossiyskoe-vino-pod-prismotrom-vlasti>

^{xii} Вина не бюджет. <https://sputniksmi.ru/vina-ne-bydet-y-krymskih-vinodelov-konchautsia-bytylki.html>

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

სპეციალური გამოცემა „არაჯანსაღი კვება – დანაზოგი თუ ორმაგი ტვირთი
ქვეყნის ეკონომიკისთვის“

International, peer-reviewed and peer-reviewed scientific

Economics and Finance

Special Issue “Malnutrition – Saving or Double Burden for the Economics Sector of
the Countries”

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც
ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ
სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური
მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

<https://www.linkedin.com/in/davit1chakhvashvili/>

<https://www.facebook.com/davit1chakhvashvili>